სამაგისტრო პროგრამების ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი).

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებული მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭიროა 120 ECTS კრედიტის მოგროვება. მათგან

- 90 ECTS კრედიტი ეთმობა სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტს (სავალდებულო და სპეციალობის არჩევით კურსებს). სასწავლო კომპონენტის შესრულება ხდება სწავლების პირველ სამ სემესტრში.
- 30 ECTS კრედიტი განკუთვნილია სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისთვის (სამაგისტრო ნაშრომისთვის). სამაგისტრო ნაშრომი სრულდება მეოთხე (დამამთავრებელ) სემესტრში.

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 120 ECTS კრედიტის დაგროვება, მათ შორის:

- ➢ პროგრამის ძირითადი და სასპეციალიზაციო არჩევითი დისციპლინების ჯამური 90 ECTS კრედიტის შესრულება;
- ➢ სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და საჯარო დაცვა;
- ➢ ევროპული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატის წარმოდგენა / ან საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება.

უცხოური ენის (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) კომპეტენციების განვითარებას ემსახურება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებში არჩევითი სტატუსით შეტანილი შესაბამისი უცხოური დარგობრივი ენის სასწავლო კურსები (თუმცა ევროპული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატის წარმოდგენა მაგისტრანტს შეუძლია უცხოური ენის სასწავლო კურსების გაუვლელადაც).

ინგლისურის, როგორც საერთაშორისო სამეცნიერო ენის კომპეტენციების ამაღლებას ემსახურება ბევრი სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში ჩართული ინგლისურენოვანი თემატური სასწავლო დისციპლინები (ამ საგნების შეთავაზება ხდება ასევე ერასმუს + საერთაშორისო მობილობის პროგრამით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოსული, ჰუმანიტარული დარგებით დაინტერესებული უცხოელი სტუდენტებისთვისაც).